# ცნობის ფურცელი

...I წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 კვირა 5 აგვისტო № 1545

...ფასი დირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ...ბრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.
...ის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ...დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ...სის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

**რედაქციის კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.



## საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
# გ. ი. პალავანდიშვილის... 

# გ. ი. პალლიზენ

...ევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.
...ფილისი, გოლოვინის პროსპ. და გი...ს გუჩის კუთხე. ✿ ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.
...ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი, ...ტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი და ...ცელარიო საგნები. ტელეფონი № 67. (6. 0—2)

## ტფილისის
## ...ერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
...მყოფებს იღებენ ყოველ დღე. კვირა უქმეების გარდა
**დ ი ლ ი თ:**
...ი. **ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი 8—10 ...დე.
...ა. **გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლოელექტრონით 9—10 საათამდე.
...გ. **მაღალაშვილი**—შინაგანი 10—11 სა..., სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
...ა. **მუღინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა ...12 საათამდე.
...შ. **ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი ...12 საათამდე.
...ნ. **შატილოვი**—თვალისა 10—11 საათამდ.
...ა. **გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინა...12—1 საათამდე.
...გ. **ფელდგოროვი**—შინაგანი და საბავშვო ...საათამდე.
...დ. **მარკევიჩი**—სადოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ ...დე, სამშაბათობით 3—4 საათამდ.
...დ. **ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და ...ესი $1^1/_2$—2 საათამდე.
**ს ა ღ ა მ ო თ ი:**
...ნ **თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი ...საათამდე.

გ. **მაღალაშვილი**—კვირაობით, 10—12 ს-დე.
**სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.**
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.
ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274. (წლ.)

**კანცელარია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა** ამით აცხადებს, რომ ამა წლის ენკენისთვის პირველი დღიდან თავისუფლდება როინაშვილის ფოტოგრაფიის გამგეს ადგილი. ვისაც ჰსურს ეს ადგილი დაიჭიროს, მან უნდა თხოვნით მიმართოს საზოგადოების გამგეობას. ჯამაგირი თვეში იქნება 50 მ. და წმინდა მოგებიდან 25%. (3—1)


## მთავრობის განკარგულებანი

ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს კანცელარიის მოხელე კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე თ უ ლ ა შ ვ ი ლ ი დაინიშნა ამავე სამმართველოს საქმის მწარმოებლის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად, ხოლო კანცელარიის მოხელე ნიკოლოზ ლუარსაბიძე თარჯიმანის თანამდებობის აღმასრულებლად.

წმ. ვლადიმერის საიმპერატორო უნივერსიტეტში კურს შესრულებული პ ე ტ რ ე მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი დაინიშნა კავკასიის სააქციზო სამმართველოს უფროს კანტროლიორად.

---

## კიდევ სწავლა-განათლების საქმის რეფორმის გამო.

ამას წინად ერთ-ერთ რუსულს გაზეთში ფელეტონისტმა დოროშევიჩმა მშვენიერად იოხუნჯა, რომ სწავლა-განათლების რეფორმის საქმე სწრაფის მატარებლით მიდის წინ. მართლაც, ჯერ არ ყოფილა მაგალითი, რომ ასეთი დიდი საქმე ამგვარის სისწრაფით წაეწიათ წინ. სულ რამდენიმე თვე გავიდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოიცა ბრძანება რეფორმის მოხდენის შესახებ და აი, მომავალ ენკენისთვიდან რეფორმა უკვე განხორციელებული იქნება საშუალო სკოლაში: დაბალს კლასებში სწავლა ახალის პროგრამით იქნება, ხოლო უფროს კლასების პროგრამაც გამორკვეულია და მალე დამტკიცებულიც იქნება; როგორც სჩანს, ასე მალე გადაწყდება საქმე უმაღლეს სასწავლებელთა შესახებაც. ამის შემდეგ ადვილი გასაგებია ის საერთო სიხარული, რომელმაც აღაფრთოვანა რუსეთის განათლებული საზოგადოება და საუკეთესო ნაწილი ჟურნალ-გაზეთობისა.

ჩვენს გაზეთში დაწვრილებით მოგვყავდა ყველა ის ცვლილებანი, რომელიც მოახდინა საგანგებო კომისიამ საშუალო სკოლის პროგრამაში და ამიტომ საჭიროდ აღარ მიგვაჩნია განმეორებით აღნუსხვა იმისა, თუ რა ხასიათის იქნება ეს სკოლა რეფორმის შემდეგ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ძველი ენების განდევნა სკოლიდან და მათ მაგიერ ახალის ენების, ბუნების მეტყველების და რამდენიმე სრულიად ახალის საგნების სწავლების შემოღება, ერთის მხრით, გაუადვილებს მოზარდ თაობას განათლების მიღებას და, მეორეს მხრით, მეტ ცოდნას, მეტ **სასარგებლო** ცოდნას მისცემს მათ. ახალი ტიპის სკოლა უფრო დაახლოვებულია ცხოვრებასთან და ეს გარემოება მეტ ძალას მისცემს სწავლა-განათლების საქმეს. ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ მივულოცოთ ახლანდელ მოზარდ თაობას, დღევანდელ მოწაფეთ, რომ უკეთეს პირობებში იქნებიან სკოლაში, ვიდრე ჩვენ, მათი მამები და ძმები, რომელთაც სული შეგვიხუთა ტოლსტოისა და კატკოვის მიერ პრუსსიიდან გადმოღებულმა კლასსიციზმმა...

კერძოდ ჩვენთვის, ქართველებისათვის, რეფორმას, რასაკვირველია, უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ჩვენებურ მოწაფეთ, რომელთაც რუსულის ენის ცოდნაც უჭირდებოდათ, იმავე დროს ლათინურ-ბერძნული ენებიც უნდა ესწავლათ რუსულისავე ენის შემწეობით. დღეის იქით მათ „მკვდარი ენები“ აღარ შეაწუხებენ და ესეც დიდი შეღავათი იქნება. ამიტომ ჩვენი საზოგადოებაც სიხარულით უნდა მიეგებოს რეფორმას, მაგრამ ამასთანავე, ჩვენის ფიქრით, დიდათ საჭიროა მიაქციოს ყურადღება ერთს ჩვენთვის დიდმნიშვნელოვანს გარემოებას.

ამ გარემოებას ჩვენ წინადაც მივაქციეთ ქართველ საზოგადოების ყურადღება და ეხლა გვინდა გავიმეოროთ, რადგანაც მის შესახებ რუსულ პრესსაშიაც აღიძრა ლაპარაკი. საქმე აი რა არის:

ახალის პროგრამით საშუალო სკოლაში ასწავლიან ახალს საგანს „სამშობლოს აღწერილობას“ (отечествовѣдѣніе). ამ საგნის შეტანა საშუალო სკოლის პროგრამაში ძრიელ საჭირო და საყურადღებოა. წინად გიმნაზიების კურს-დამთავრებულთ თითქმის სრულიად არაფერი იცოდნენ თავის სამშობლოს შესახებ: სამშობლოს კულტურა, სამშობლოს ავლა-დიდება, ისტორია, ეტნოგრაფია—ყოველივე ბურუსით იყო მოფენილი მათთვის. ეს გარემოება, ცხადია, ხელს უშლიდა მომავალ მოღვაწეთ, რადგანაც აიძულებდა მოღვაწეობის დროს ესწავლა ის და გაცნობოდა მას, რაც უკვე სკოლაში უნდა შეესწავლა. ამიტომ მთელი პრესა სია-

---

# ფელეტონი

## ...დევ ერთი განყენებული საუბარი

(...ექტივიზმი, აუცილებლობა, თავისუფლება)

...ნ არ ვეთანხმებით „არგონავტში“ გა...მულ მოსაზრებას, ვითომ თეორეტიულ ...ლოსოფიურ წერილების წერა უნაყოფო ...ს და ენერგიის დაკარგვა იყოს. ის ...მოება, რომ ჩვენი საზოგადოება გან...ულ საგნების გარკვევას არ არის მი...ლი, არ უნდა გვაბრკოლებდეს: თუ ...რის მიჩვეული, უნდა მიეჩვიოს; თუ მი...ლია, გონებრივი საზრდო ესაჭიროება. ...ვე შემთხვევაში თეორეტიულ ხასია...წერილების წერა აუცილებლად სა...ა.

...გრამ ამ ხასიათის წერილებს სხვა ...ტიკული მნიშვნელობაც აქვს. ხშირად ...მოქმედებას ვამყარებთ აკვიატებულ ...ელებელ რომელიმე მეცნიერულ მო...ებაზე, ხშირად ვამართლებთ ამ მოქ...ბას მხოლოდ იმიტომ, რომ ამა-და-ამ ...ებში ამ მოქმედების თეორია და ფი...ოფიაა შემუშავებული.

...აც შეეხება „ისტორიულ მატერია...ს“, „მარქსიზმს“ და სხვა ამნაირ თე...ულ კითხვებს, მათ უტყუარ განმარტებას, ახსნას და დასაბუთებას მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ჩვენ ჯგუფ-ჯგუფად დაყოფის გამართლებას სწორედ ამ კითხვების ერთ-გვარ განმარტებაში ვპოულობთ. თეორიის და ცხოვრების კავშირი უფრო მჭიდროა, ვიდრე ჩვენ გვეჩვენება.

ეს გარემოება გვაბედვინებს მივაქციოთ მკითხველის ყურადღება ბ. მახარაძის ზოგიერთ მეცნიერულ მოსაზრებაზე («კვალი» № 31). კითხვა წმინდა თეორეტიულია: სოციოლოგია და მისი მეცნიერული საფუძველი. სოციოლოგია (საზოგადოების შესწავლის მეცნიერება) შეურყეველ ობიექტიურ (ადამიანისაგან დამოუკიდებელ) საფუძველზე უნდა იყოს აგებული, ე. ი. იმ მოვლენათა ჯგუფზე, რომელნიც ექვემდებარებიან თავისს საკუთარ კანონს და რომლის შეცვლა ადამიანის ხელში არ არის. ისტორიულ მატერიალიზმის მოძღვრება სწორედ ამ გვარ ობიექტიურ საფუძველს წარმოადგენს სოციოლოგიის ასაგებადო. მისის განმარტებით, პროცესსი ადამიანთა ცხოვრებისა ობიექტიურია, (დამოუკიდებელი) კაცის სურვილს და მისწრაფებას (სუბიექტივიზმს) მის მიმდინარეობაზე არავითარი გავლენა არა აქვს. კაციც, თავისი სურვილებით და მისწრაფებით, ნაყოფია ამ ობიექტიურ ძალთა თამაშობისაო. ასე რომ სუბიექტივიზმი უნდა იყოს განდევნილი სოციოლოგიიდან და ამ მეცნიერების ერთად ერთი საძირკველი—ობიექტივიზმიაო.

მხოლოდ საკითხია, რა არის «ობიექტივიზმი» და „სუბიექტივიზმი“? პირველ კითხვის გადასაწყვეტად ამ ორ ცნების განმარტებაა საჭირო. სანამ არ გავიგებთ ამ სიტყვების ნამდვილ მნიშვნელობას, ვერ გადავწყვეტთ სოციოლოგიურ მეცნიერების შინაარსს და მიმართულებას.

ამ ცნების გარკვევისათვის საჭიროა მივმართოთ კრიტიკულ ფილოსოფიის დასკვნას. „კრიტიციზმის“ განმარტებით ჩვენი ცოდნა განუსაზღვრელი არ არის. ჩვენ არ ძალ-გვიძს შევიგნოთ არსებითი ხასიათი ბუნებისა და საზოგადოდ ყველა იმისი, რაც ადამიანის გარეშე იმყოფება. ჩვენი აზრი **მოვლენას**, ე. ი. ჩვენი გონებით წარმოდგენილ საგანს ვერ გადასცილდება. მოვლენათა სამფლობელო ის სამფლობელოა, სადაც ტრიალებს ჩვენი ცოდნა. მხოლოდ **მოვლენას** ჩვენ ვიგებთ ჩვენისავე გონებით,—ის არის ჩვენი წარმოდგენა. ამისათვის ჩვენს ცოდნას აქვს „იდეალისტური“ ხასიათი, ე. ი. გონება არის ის შუამავალი, რომლის შემწეობითაც ვიძენთ ცოდნას. რასაკვირველია, ამ ცოდნის შემუშავებისათვის საჭირო არის აგრეთვე საგანი, ჩვენს გარეშე მყოფი. და ეს საგანი არსებობს კიდეცა, მხოლოდ, როგორია ამ საგნის არსებით ხასიათი, როგორია ის თავის თავად, ჩვენ არ ვიცით, რადგან ჩვენი გონება საგნის არსებითი შეგნებამდე ვერ სწვდება. ამისათვის ჩვენ ცოდნას აქვს სუბიექტიურ-ობიექტიური ხასიათი. სუბიექტიურია ის, რადგან ადამიანი თავის გონებით აუცილებელი პირობაა ყოველგვარ გარეშე მყოფ საგნის წარმოდგენისათვის. ობიექტიურია, რადგან ჩვენი ცოდნის „საგანი“, ის მასალა, რომელიც მოქმედობს ჩვენზე, ადამიანის გონების გარეშე უნდა იმყოფებოდეს. ამ რიგად „კრიტიციზმმა“, კანტის მეოხებით, უარჰყო ორი უკიდურესი მეტაფიზიკური მოძღვრება—აბსოლიუტური სუბიექტივიზმი და აბსოლიუტური ობიექტივიზმი. პირველი მოძღვრება ამტკიცებდა, რომ ერთად ერთი სინამდვილე, ადამიანის უტყუარი ჭეშმარიტება არის აზრი. ბუნება იმდენად არსებობს, რამდენადაც აზრი არსებობს. ბუნება და აზრი ერთდებიან, მხოლოდ ბუნება იფლება აზრის მფლობელობაში. ბუნებას და ცხოვრებას დამოუკიდებელი ობიექტიური ხასიათი არა აქვთ. ისინი იმიტომ არიან, რომ ჩვენ ვართ. ჩვენ არ ვიქნებით, არც ისინი იქნებიან. ამ რიგად უკიდურესი სუბიექტივიზმი უარ-ჰყოფს ცხოვრების და ბუნების ობიექტივიზმს (ე. ი. ადამიანისაგან დამოუკიდებელ არსებობას).

მოვენებით მიეცემა კომისის დადგენილებას, რომ სამშობლოს აღწერილობა სავალდებულო საგნად გამხდარიყო მომავალ საშუალო სკოლაში.

აღვნიშნეთ-რა ეს გარემოება, ჩვენ ვწერდით ამას წინად, რომ აუცილებლად საჭიროა რუსეთის იმპერიის ყოველ მხარეში მეტი ყურადღება მიექცეს ადგილობრივ აღწერილობას; საშუალო სკოლა, რომელიც ქართველთაშორის არის დაარსებული, ქართველთა ენას, ისტორიას და ცხოვრებას უნდა ექცეოდეს გასაკუთრებულ ყურადღებას. სწორედ ამგვარივე აზრი გამოითქვა რუსულ პრესაშიაც; უკანასკნელ დროს კი „რუსკი ვედომოსტი“-ში დაბეჭდილი წერილი იყო ამის შესახებ. წერილის ავტორი უფრო შორს მიდის: ის ამტკიცებს, რომ რუსეთის განაპირა ადგილების საშუალო სკოლებში უთუოდ უნდა ასწავლიდნენ ადგილობრივ ენებს, ლიტერატურას, ისტორიას და ეტნოგრაფიასაო...

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ ეხლა მეტად მოხერხებული დროა სწავლა-განათლების საქმეში სასურველ ცვლილებათა მოხდენისათვის და უთუოდ საჭიროა, რომ ჩვენ ამ დროით ვისარგებლოთ. მთავრობა თვით დაინტერესებულია, რომ სწავლა-განათლების საქმე „ნორმალურ ნიადაგზე იქნას დამყარებული“, ამისათვის თვით უმაღლესმა ბრძანებამ მიიწვია ოჯახი და საზოგადოება დახმარებისათვის; მაშასადამე ჩვენ გვმართებს ვიზრუნოთ ამ საქმისთვის და ვუჩვენოთ, ვისაც ჯერ არს, თუ რა ესაჭიროება საშუალო სკოლას ჩვენში, რა განსხვავებით უნდა ასწავლებოდეს ჩვენში სამშობლოს აღწერილობა და სხვა საგნები. ჩვენ, ქართველებს, გვაქვს ორი საშუალო სკოლა—თავად-აზნაურთა სკოლები, რომლებშიაც მასწავლებლები უმეტესად ქართველები არიან; ამისა გვყავს პედაგოგები, ჩვენის ფიქრით, არ იქნება მეტი, რომ ამათ იფიქრონ ამ საქმის შესახებ და თავიანთი აზრი წარუდგინონ წესისამებრ სამოსწავლო უწყების მმართველთ. ხოლო მათ აზრსა და თხოვნას მხარი უნდა მისცეს თავად-აზნაურობამ და აგრეთვე ყველა დაწესებულებებმა, რომელთაც ნება აქვთ შუამდგომლობის აღძვრისა... ერთის სიტყვით, აუცილებელ საჭიროებად ვთვლით—ჩვენმა საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, რომ უკეთეს დროს სასურველ ცვლილების მოხდენისათვის სწავლა-განათლების საქმეში ძნელად მოვესწრებით და ხელიდან არ უნდა გავუშვათ.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

3 აგვისტო.

**პეტერბურგი**. აგვისტოს 2-ს ელლინთა დედოფალი, დიდი მთავრინა ალექსანდრა იოსების ასული და დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მეუღლითურთ წაბრძანდნენ სტრელნიდან პავლოვსკში.

აგვისტოს 2-ს პეტერბურგიდან მოსკოვს წაბრძანდა დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე.

**სიმბირსკი**. ბუინის მაზრის სოფ. ახალ-ალბესიაში ცეცხლი გაჩნდა. დაიწვა სამი ბავში, ერთ ბავში და ერთიც ქალი დამწვრობისაგან მალე გადაიცვალნენ.

**ხარკოვი**. მმართველობის კომისიამ, რომელიც დანიშნულია გზათა მინისტრისაგან, დაასრულა შემოწმება ბელგოროდ-სუმის რკინის გზისა, სცნო გზის ლიანდაგი და სადგურები სრულიად მზად მოძრაობისათვის და ყველაფერი განაკეთები დასრულებულად. გზის მმართველს მიენდო დაუყოვნებლივ გამართოს პირდაპირი მიმოსვლა ხარკოვ-ნიკოლაევის რკინის გზის მატარებლებისა მგზავრებისა და საქონლისათვის ბელგოროდიდან ბასამდე.

**სარატოვი**. სარატოვის მაზრის სათემო (საეროზო) კრებამ გადასწყვიტა ცუდი მოსავლის გამო ხალხისათვის შემწეობის აღმოსაჩენად, შეუდგეს საზოგადო სამუშაოს მაზრის ცამეტ სხვა და სხვა ალაგას. უმთავრესი სამუშაოთაგანი იქნება: შოსსე, ხიდები, მთების გადათხრა და სხვა.

**პენზა**. გუშინ კიდევ გაჩნდა სამგან ცეცხლი, ყაზანისა და ბალის ქუჩებზე და ტამბოვის საბაჟოსთან. თითქმის ნახევარმა ქალაქმა, შეშინებულმა მუდამ ცეცხლის გაჩენით, მიატოვა თავისი სადგომები და დაბინავდნენ ბანაკებათ ქუჩებში, მოედნებზე, მდინარეების ნაპირათ და ქა[...]ის სანაპიროებზე.

**პეკინი**. ფრანგებმა დაუბრუნეს ჩინელებს წინაპართა სასახლე.

**კონსტანტინეპოლი**. რუსის ესკადრა გავიდა სინოპიდან სევასტოპოლში აგვისტოს პირველს.

**გომბურგი**. ინგლისის დედოფალი და პრინცესსა ვიქტორია გამოემშვიდობნენ მეფეს ვოკზალზე და დილის 8 საათსა და 30 წუთ. საგანგებო მატარებლით, გომბურგის გზით, გაემართნენ კოპენჰაგენისაკენ.

**პარიზი**. დურბანიდან მოვიდა ამბავი, რომ ლ... ბოტა თავს უყრის 4,000 ჯარის კაცს ზულულანდის საზღვარზე. ბურების ღენერალი ემმეტი ყოველ დღე უგზავნის მას მაშველს ჯარის კაცებს. ინგლისელები ამ ჟამად მიდიან ზულულანდის საზღვარისაკენ. მოელიან ამბებს დიდის ჩხუბისას.

**პეკინი**. ელჩებმა ხელი მოაწერეს წინასწარს პროექტს მშვიდობიანობის ოქმისას, რომ ამით აიძულონ თავიანთი მმართველობანი თავიდან აიცდინონ ახალი ცვლილებანი. ელჩებს ჰგონიათ, რომ მომავალს სამშაბათს მათ შეეძლებათ ჩინეთის რწმუნებულებთან ერთად ხელი მოაწერონ მშვიდობიანობის ოქმს.

**მიდლბურგი**. ფრენჩის ჯარის ერთი როტა დაზვერვის დროს, ივლისის 28-ს, წააწყდა ჩასაფრებულს მტერს. დაწვრილებით არა იციან-რა, მაგრამ შიშობენ, როტა ძლიერ დაზარალებული უნდა იყოსო; კომანდირი ერაზმუსი ამას წინანდელ ბრძოლაში დაიჭირეს, და არა დაიჭრა, როგორც გუშინ შეცდომით იყო ნათქვამი.

**ბლუმფონტეინი**. ომში მოკლეს ფელდკორნეტი დროსტგუიცენი, რომელიც იაკობსდალის რაზმს ეკუთვნოდა.

სამხრეთ-აფრიკის ბუშმენები შეებრძოლენ ფერმასთან 50 ბურს, ბურებთაგან 5 მოკლეს და 17 დასჭრეს. უკანასკნელთაგან რვა გაიქცა.

ივლისის 29-ს კაპის პოლიციამ ტყვე საჩხუბრათ 40 ბური; მოუკლა სამი და დაუჭრა ბევრი. ექვსი კაცი წაიყვანეს; ინგლისელთ ორი მოუკლ... შვიდი დაუჭრეს.

**ხარკოვი**. აგვისტოს 3 დაიწყო ... რი მიმოსვლა სამგზავრო და საქ... მატარებლებისა, ბელგოროდ-სუმის ... გზაზე, ბელგოროდსა და სუმს შუა.

სასამართლო პალატამ, როგორც ... სასამართლომაც, უშედეგოთ დასტოვ... ნკის მოღვაწეთა საჩივარი, რათა შ... ლათ მათ შესახებ მიღებული ზომები... ვებისა.

**ტოკიო**. გენერალმა ვუარონმა ... ცრებმა საფრანგეთის საექსპედიციო ... მისამ რამდენიმე დღე გაათიეს აქ, ... სამშობლოში ბრუნდებოდნენ. აქ ყ... დროს ისინი იყვნენ იაპონიის მმართ... ბის სტუმრებათ მიჩნეულნი და მათდა... საცემლად მმართებლობა მართავდა ბ... ვალე დარბაზობათა და დღესასწაულ...

## ჟურნალ-გაზეთები

**ინგლისი**. ლიბერალური დასი ძლიე... ნააღმდეგებს მთავრობას, უშლის, ... ნუ ექცევი ბურებსაო. ამ აზრით ლიბე... კემბერლენში ნადიმიც გამართეს. ნადიმ... ბელ-ბანერმანმა ილაპარაკა.

ჩვენი მთავრობა თავდაპირველად ამ... ცდილობდეს, სამხრეთ-აფრიკის ხალხ... და არამც არ გაამართლოს და რაც შ... უფრო მოწყალედ და სათნოდ ექცეოდეს... მების დაწვა, ქვეყნის გაოხრება და ... რებისათვის სამხედრო ბანაკების გამა... უაზრო პოლიტიკაა. იქნება ამისთანა პოლ... ზოგჯერ სასარგებლოც იყოს სამხედრო მ... ბისათვის, მაგრამ ეს სარგებლობა სათქმე... იმ გაწირვასა და უბედურებასთან, რასაც ა... პოლიტიკა აუცილებლად იწვევს. ბ-ნი ... სიდნეისა არ იყოს, «ომში შეიძლება ... ბით გავიმარჯვოთ, მაგრამ ესეთი გა... მეტად ძვირად ჯდება». ახალშენების მი... ჩემბერლენმა სთქვა, ლმობიერებასა და ...

ამავე შეცდომას ჩადის უკიდურესი ობიექტივიზმიც, რომელიც ადამიანს ბუნებას და ცხოვრებას უქვემდებარებს და მის გონებასა და აზრს არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს ცოდნის შეძენაში.

ორივე მოძღვრება მეტაფიზიკური მოძღვრებაა, რადგან ერთის საგანი—აბსოლიუტური სუბიექტივიზმია, ხოლო მეორესი—აბსოლიუტური ობიექტივიზმი. პირველი ცხოვრებას და ბუნებას უარ-ჰყოფს, მეორე—ადამიანს თავის გონებით, ურომლისოდაც არაფრის შეგნება არ ძალ-გვიძს.

ამ რიგად კრიტიკულმა ფილოსოფიამ გასწყვიტა ყოველი კავშირი ძველ დოგმატიურ მეტაფიზიკურ სისტემებთან. მან დაადგ ნა, რომ არც ჩვენი ცოდნა, არც ამ ცოდნის საგანი არ ასცილდება მოვლენათა სამფლობელოს, იმ მოვლენათა სამფლობელოს, რომლებშიაც ჩვენს გონებას წყობა და რიგი შემოაქვს და რომელთ ერთმანეთზედ დაკავშირება ისევ ჩვენს წარმოდგენაში აუცილებლობის კანონს ექვემდებარება. ყოველ მოვლენას ვაკავშირებთ მეორე მოვლენასთან, მეორეს—მესამესთან. და მთელი მოვლენათა სამფლობელო ჯაჭვით არის გადაბმული და ეს ერთმანეთთან დამოკიდებულება აუცილებელი დამოკიდებულებაა, რადგან სხვა ნაირად ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია მოვლენათა არსებობა.

ასე, რომ „კრიტიციზმმა“ გამოარკვია ორი რამ: საგანი ანუ მოვლენა, რომელიც, ზედაპირულად რომ შევხედოთ, ვითომ ობიექტიურად არსებობს, თურმე ჩვენი წარმოდგენა ყოფილა; ამ მოვლენის მეორე მოვლენასთან დაკავშირებასაც ობიექტიური ხასიათი არა აქვს, რადგან ეს დაკავშირება ის აუცილებელი პირობაა, ურომლისოდაც ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია საგანი.

ამრიგად, ჩვენი ცოდნა, სოციოლოგიური ის, თუ ფილოსოფიური, ექვემდებარება განსაზღვრულ პირობებს: იგი ეკუთვნის მოვლენათა სამფლობელოს; ამ სამფლობელოს თავის დღეში ვერ გადასცილდება და ამიტომ აბსოლიუტურად ობიექტიური არ არის; იგი ექვემდებარება მიზეზის კანონს (закону причинности) და ამ კანონს აქვს აუცილებლობის ხასიათი. ხოლო მიზეზის კანონიც და აუცილებლობაც—ობიექტიურად კი არ არსებობს, არამედ იგია ის პირობა, ურომლისოდაც საგნის ცოდნა შეუძლებელია.

მაშ, იკითხავს მკითხველი, თუ კი არც საგანი (მოვლენა) არსებობს ობიექტიურად (ადამიანის გონების დამოუკიდებლად), არც ის აუცილებლობის კანონი, რომლითაც არის დაკავშირებული მოვლენათა კრებული, ობიექტიური აუცილებლობის კანონი არ ყოფილა, როგორღა შესაძლებელია მეცნიერება? ბ. მახარაძეც ჩააფიქრა ამ მეცნიერებამ. „თუ საზოგადოებრივი ცხოვრება მოვლენანი არ ექვემდებარებიან არავითარ კანონს, თუ ყოველივე ეს დამოკიდებულია მხოლოდ ადამიანის სურვილზე (ხაზს ჩვენ ვუსვამთ), იმ შემთხვევაში სოციოლოგიას, როგორც მეცნიერებას, ეკარგება ყოველნაირი ნიადაგი“, გვეუბნება ავტორი სამართლიანად. დიაღ, კაცის სურვილი ცვალებადია და მასზედ ვერ დავამყარებთ სოციოლოგიურ ცოდნას. ცოდნა უნდა დამყარდეს გამოცდილებაზედ, მოვლენათა შესწავლაზედ, მოვლენათა აუცილებელ კანონით დაკავშირებაზედ და ყველა ეს სურვილზედ კი არ არის აშენებული, ადამიანის გონიერებაზე. ადამიანის გონებას აქვს თავისი კანონები, ამ კანონებს ექვემდებარება ჩვენი ცოდნა. ადამიანის სურვილს ამ გვარი კანონი არ აქვს და ამისათვის ცოდნის შემუშავებაში ის არც ერევა.

სწორედ ამისათვის ყოველ ჩვენს ცოდნას, მით უმეტესს, სოციოლოგიურს, ორგვარი ხასიათი აქვს: საგანს იძლევა ცხოვრება, მხოლოდ ამ საგანს თავისს ხასიათს აძლევს გონება (და არა სურვილი). ამისათვის ამ ცოდნას—აქვს სუბიექტიურ-ობიექტიურ ხასიათი.

რაც შეეხება ადამიანის მოქმედებას, ჩვენი ცოდნა და შესწავლა საზოგადოების აგებულებისა, არაფერ შუაშია. თუ საზოგადოების მოვლენათა ცვლილება გვეჩვენება ობიექტიურ ცვლილებად, აქედან ის კი არ უნდა გამოვიყვანოთ, ვითომ ჩვენი მოქმედებაც უნდა დავუქვემდებაროთ ამ პროცესს. კაცი თავისუფლებას ეძებს, საზოგადოების მოვლენანი კი აუცილებლობის კანონზე არიან დაფუძნებულნი (არ დავივიწყოთ, რომ ამ კანონსაც აქვს სუბიექტიური ხასიათი). როგორ შევარიგოთ ეს პირდაპირობა, თავისუფლება და აუცილებლობა?

ბ. მახარაძის განმარტებით, ამ ცნებათა შორის არავითარი პირდაპირობა არ არის. „თავისუფლება და აუცილებლობა ერთმანეთში გადადის“—ამბობს ავტორი. „ჩვენ თავისუფალი გვგონია თავის-თავი იმდენად, რამდენად არ გვესმის ან არ შეგვიგნია ჩვენი მოქმედებათა აუცილებლობა... აუცილებლობა ერთად ერთი საიმედო თავდებია თავისუფლებისა.“ ასე, რომ ნამდვილი თავისუფლება აუცილებლობა ყოფილა. მხოლოდ დავუკვირდეთ ამ ორ ცნების შინაარსს.

თავისუფლება განსაზღვრულ მიზნის ასრულებაა, ამ მიზნისადმი მისწრაფება. თავისუფლება უარ-ჰყოფაა ყველა დაბრკოლებისა, რომელიც კაცს გზაზედ ეღობება. თავისუფლებაა მოქმედება თანახმად ადამიანის აზრისა, ლტოლვილებისა და ... სა.

აუცილებლობა განსაზღვრულ პრო... ცესის მსვლელობაა, უარ-ჰყოფაა ... რებისა, გაუმჯობესებისა, ლტოლვი... აუცილებელი არ ნიშნავს კეთილის ... წავებელს, რადგან ყოველი ზნეობრ... ფასება განდევნილია აუცილებელ... რების პროცესის მსვლელობიდან. ... ლებლობა და თავისუფლება ორი წ... დეგობაა. რამდენად პირველი ბატ... იმდენად მეორე ილახება. მათ შორის ... ლაა, სწორედ ის ბრძოლა, რომლის ... ჩვენ ვხედავთ ცხოვრებაში, როდესაც ... თესის მომავლის, უკეთესის წეს-წყობ... დამყარებისათვის გამოვდივართ სამოქ...

ამ რიგად, ჩვენ ვნახეთ, რომ ბ. ... ძის შიში, ვითომ სუბიექტივიზმის ... სოციოლოგიურ მეცნიერებას საფ... ელება, ტყუილი შიშია, რადგან ცო... მეცნიერება ვერ მოიშორებს ამ სუ... ურ ელემენტს, რადგან ეს ელემენტ... მიანია თავის გონებით, ე. ი. ის ... რომელიც ყოველი ცოდნის პირობ... იარაღად ჩაითვლება. ცოდნის მფლო... ბაში ადამიანის სურვილი არ ერევა, ... ნა გონების კანონებს ექვემდებარ... ამ კანონებს შეაქვთ მრავალ-ფეროვა... რების მასალაში სისტემა, წყობა და ... ეს არის ობიექტიური მხარე ადამიან... დნისა. იგია იმდენად შეურყეველი, ... ნადაც შეურყეველი და შეუცვლელ... მიანის გონების მოქმედები. კანონე... ვნახეთ აგრეთვე, რომ ადამიანის პ... კული მოქმედება აუცილებლობის ... ვერ დაემორჩილება, რადგან აუცილე... თავისუფლების დამხობა და გათახს...

არჩილ ჯორჯ...

...ადგილი არ აქვს პოლიტიკაშიო. შებრა-...რომ მოვექცეოდით ბურებს, უფრო ...განსნებლითო, მაგრამ ინგლისის ერი ...რასარ მოიწონებს უდიერობასა და გულ-...ს პოლიტიკას. თუ გვინდა სამხრეთ აფრი-...განარჩუნოთ, უსათუოდ სრული თვით-...ლობა უნდა მივსცეთ; ეს თავი-და-თავი ...ს. თვით-მმართველობა ხალხს დაამშვიდებს ...ნახვებს, რომ ინგლისელები შეუბრა-...ჯალათები არა ყოფილანო.

...ვანზე ოპოზიციის წინამძღოლს მეორე ...ს დროსაც უდაპარაკნია. ეს ნადიმი პეკ-...ულა გამართული. მარშან შემოდგო-...არჩევნის წინად, ჩემბერლენმა გამოა-...სამხრეთ-აფრიკის ომი გათავებულად ...ებით. შემდეგ კი მინისტრმა უარ-ჰყო ეს ...წარად ნათქვამი სიტყვები, აა სწორედ ...ბერლენისათვის სახოთირო ამბავი გაი-...მპბელ ბანერმანმა.

...ა მთავრობას,—სთქვა, სხვათა შორის, ...ლების მეთაურმა,—მოაგონეს, არჩევნის ...ო ამტკიცებდით, ომი გათავდაო, მაშინ ...ნების მინისტრმა თავისებურის გამბე-...ო უპასუხა: არ მახსოვს, რომ ვისმე ...ობის წევრთაგანს ეგ ეთქვასო, თუმცა, ...ა ჩემბერლენმა, ეგ საქმე კარგად გამო-...(საზოგადოებაში ფვირიან: «ალბად ცალი ...თ გამოიძიაო»; ჩემბერლენს ცალ თვალზე ...ლი აქვს ჯაკეთებული). არა, ბატონებო, ...ურს ორი თვალი აქვს, მაგრამ ორივე ...თ სხვას ეძებს, თავისი თავი კი ავი-... მინისტრს დაავიწყდა, რომ (რა ქმნას, ...ვიწყოს!), მარშან, კონვენტრაში, ლვინობის-...სთქვა.» ეხლა ხომ წარსული საქმეა, ომი ...ა, მაგრამ, არა მგონია, ჩვენმა ხალხმა ...ს რა ძნელი ომი იყო ეს ომი!» ერთის ...შემდეგ კიდევ ილაპარაკა და კიდევ ...ლადას გამარჯვებით დაგვამთავრეთ ეს ...ბევრს ეწინააღმდეგებიან, ბევრს მწარე-მწა-...ებს აგონებენ ჩემბერლენს, მაგრამ ამაოდ. ...ად კი არაა ქართულად ნათქვამი: «რაც ...ლაპარაკე, თუ კი გაცს არა რცხვენიან!»

**...რთებული-შტატები.** ამერიკელი გა-...ო მუშების თაობაზე ბევრი რამ უცნაური ...ცნობა დაიბეჭდა გაზეთებში. გაზეთებ-...ვეცვის მიზეზიც კი ერთნაირად არ იყო ...ო. ზოგი ამბობდა, მუშები სთხოვენ სი-...ს, ჩვენი კავშირის წევრებს გარდა სხვა ...არ უნდა მიიღოთ სამუშაოდაო. სხვები ...ოდნენ, ეგ ტყუილია, მუშები მარტო ...მომატებას თხოულობენო. გაზ. «რუსკია ...ოსტი»-ს ამერიკელი კორესპონდენტი ...წორე უტყუარ ცნობას გვატყობინებს ამ ...თაობაზე:

...ქეთ, რაც 100 ათასმა მუშამ გაფიცვა ...ნა,—სწერს კორესპონდენტი,—ნათლად ...რკვა, რის თაობაზე მოუვიდათ შრომასა ...ტალს ეს უთანხმოება. აქ მუშების კავ-...ს ბედი უნდა გადასწყდეს. ფოლადის ...ტი გადაჭრით უარს აცხადებს და არა ...ლება, რომ მუშების ტრედ-უნიონების ...იმ ქარხნებშიაც შემოიღონ, სადაც ტრედ-...ების წევრებს წინად არ ამუშავებდნენ. ...ის ხინ-იკატის გაზეთი «ნიუ იორკ-ტა-...დღესაც ამტკიცებს, ვითომ სინდიკატი ...დამოუკიდებელი მუშების ინტერესებს ...ებაო, რადგანაც ამ მუშებს ტრედ-უნიო-...ათ აბამს გაფიცვაშიო. მაგრამ ეს ტყუ-...ეს იქიდანაც სჩანს, რომ გაფიცულებს ბე-...არეშე დამოუკიდებელი მუშები მიემხრო. ...გარდა გამოირკვა ისიც, რომ ბევრს ამ ...კიდებელ მუ ათაგანს, რაცა სამუშაოდ ...ნენ, ამნაირ პირობაზე აწერინებდნენ ხე-...თ, ვანიცობაა, რომელიმე კავშირის წე-...ავეწერეთ, ნება გაქვთ ადგილიდან დაგვი-...ოთო. იმას კი არა ვთხოულობთ,—სთქვა ...ს მეთაურმა შეფერმა,—რომ სინდიკატ-...ა დაატანოს დამოუკიდებელ მუშებს, გა-... წევრად ჩაეწეროთო, მარტო ამ სამარ-...ო პირობების მოსპობასა ვთხულობთ. ამას ...გვინდა, რომ ყველა მუშებს, კავშირის ...ისაც და დამოუკიდებლებსაც, ერთნაირად ...დნენ. თუ სინდიკატი ამ თხოვნას შეა-...ს, ხვალვე გაფიცვაზე ხელს ავიღებთ ...ობას დავიწყებთო». მაგრამ მარგანსა და

სინდიკატის თავმჯდომარე შვაბს ეს პი-რობები გასაგონადაც კი ეჯავრებათ. თვით კლერიკალურ-ეთიკური გაზეთი «აუტლუკ»-იც —მუდამ იმას ქადაგებს, შრომა და კაპიტალი მეგობრულად უნდა ექცეოდნენ ერთმანერთსაო,— თვით ეს გაზეთიც კი გამოტყდა, სინდიკა-ტი თავისუფლებისათვის იბრძვისო, რომ უფ-ლება ჰქონდეს როგორიც უნდა, ისეთი მუშა დაიქირავოს, გინდ ტრედ-უნიონების წევრი, თუნდ დამოუკიდებელი და ისეთი პირობით დაიქირაოს, როგორსაც თავისთვის სამჯობინა-როდ დაინახავსო. ერთის სიტყვით, სინდიკატს ჰსურს, რომ ყოველ მუშას ცალკ-ცალკე ჰქო-რაობდეს, მუშები კი თხოულობენ, ერთობილი, კოლექტიური პირობით უნდა იქირავეთ მუშა-საო. ამერიკელი ტრედ უნიონები ყველაფერში ინგლისის ტრედ უნიონებს ჰბაძვენ, ამერიკელი მეფაბრიკეები და მექარხნეები კი მტკიცეთ არიან დარწმუნებულნი, რომ სწორედ ტრედ-უნიონების ძალამ დაღუპა ინგლისის მრეწველო-ბაო.

ბრძოლა აქამდე მშვიდობიანად მიმდინარეობს, ორივე მხარე ჯერ ელის, როგორ წავა საქმეო. მუშების კავშირის თავმჯდომარე შეფერი,— უმაღლესი სწავლა აქვს მიღებული,—ყოველ-ნაირად ცდილობს, გაფიცულმა მუშებმა წესიე-რება არ დაარღვიონ. აქამდე არც თუ საბუთი ჰქონიათ რაიმე უწესოებას მოეხდინათ. თუმცა ბევრმა ქარხნის ხელმძღვანელმა დაიქადნა, მუ-შაობას მალე დავიწყებთო, მაგრამ გაფიცვის გამო ყველა დაკეტილი ქარხნები დღესაც ისევ ისე დაკეტილია. ახვილი კი არაა 100,000 გა-მოცდილი მუშის შოვნა; მართალია, სხვა ადგი-ლებიდან მუშები მოიყვანეს, მაგრამ ამათ უფ-რო გაფიცულების შეშინება ეწადათ, ვიდრე ნამდვილად მუშაობის დაწყება. რასაკვირველია, ყოველ-დღე დიდი ზარალი მოსდის სინდიკატს, მაგრამ იმოდენი შეძლება აქვს, რომ ამ ზა-რალს ადვილად გაუძლებს. ფოლადის ქარხნის მუშებიც შეძლებული ხალხი არიან და, როგორც შეფერი არწმუნებს, დიდ-ხანს გაუძლებენ გა-ფიცვას, მუშებს ჯერ არ გამოჰლევიათ ფულე-ბი, ჯერ გაჭირვება არ დასდგომიათ. ავი ამი-ტომ წესიერადაც იქცევიან».

**იტალია.** ბერლინის გაზეთებს ატყობინე-ბენ: მილანის პროვინციაში სოფლის მუშა ხალ-ხი ისევ აირიაო. ემინაათ დიდი უწესოება არ მოხდესო. ბევრ ადგილას ჯარები ჩააყენეს, მაგ-რამ მაინც ხალხი არა მშვიდდება. ბევრგან მე-მამულეების სახლებს ცეცხლი წაუკიდეს. ამ დღეებში, დამით ჰერცოგ ვისკონტი მოდრონეს მამა პაპურ ციხე დარბაზს დაეცნენ.

**ავსტრ-უნგრეთი.** ამას წინად გალიციის სეიმის წევრები უნდა აერჩიათ. არჩევანი ჯერ სოფლის ოლქებში უნდა მომხდარ-იყო რუსინების წარმომადგენლები დეპუტატი ბარვინსკის მეთა-ურობით ვენაში წავიდნენ და მინისტრ-პრეზი-დენტს საჩივარი მისცეს: გალიციის არჩევნები გახურებული მკის დროსაა დანიშნული და სოფ-ლის ხალხს სრულებით არ შეუძლიან ამ არჩე-ვანში მონაწილეობა მიიღოსო, ამიტომ გთხოვთ, სხვა დროსთვის დაჰნიშნოთ ეს არჩევანიო. მაგ-რამ კერბერმა რუსინების თხოვნა არ შეასრუ-ლა. პირველი მინისტრი მაინც ეცადა როგორმე სხვა ფრივ დაემშვიდებინა რუსინები და, სხვათა შორის, დაჰპირდა გალიციაში ორ სახლს აგიშე-ნებთ რუსინების ახალ გიმნაზიებისთვისაო.

**გერმანია.** გაზ. „ტან“-ის ბერლინელი კო-რესპონდენტი იუწყება: ქალ. ლიუბეკში სოცია-ლისტების კონგრესი უნდა მოხდეს. სოციალი-სტების კომიტეტს ბევრნი უჩივიან—ცუდად მი-ჰყავს საქმეო. ამბობენ, ამ კონგრესის დროს უკმაყოფილო წევრები დიდ ბრძოლას აუტეხენ კომიტეტსაო. ქალ. დორტმუნდის სოციალისტების წარმომადგენელმა ზიბელმა პროკლამაცია გა-მოსცა და ყველას ურჩია კომიტეტის ბატონო-ბას ბოლო მოუღოთო. ზიბელის აზრით, აუცი-ლებლად საჭიროა, ეხლანდელი კომიტეტი გა-მოიცვალოს და საგაისოდ წესად დაიდოს, რომ კომიტეტი ორ წელიწადში ერთხელ იცვლებოდეს და კომიტეტის წევრად ნამყოფს მხოლოდ ორისა, ან ოთხი წლის შემდეგ უნდა მიეცეს უფლება, ხელ-ახლად იყაროს კენჭიო.

**სამხრეთ-აფრიკა.** ერთი ინგლისელი ოფი-ცერი სწერს «მორნინგ პოსტში»:

«თუ ომი ასე გაჭიანურდა, ეს სულ ბურე-ბის დედა-კაცების ბრალია. დედა-კაცები ვაჟკა-ცებზე მხნედ იქცევიან და ზავის ჩამოგდება და შერიგება გუნებაშიაც არ უდევთ. პირიქით, ყო-ველი შემთხვევით სარგებლობენ, რომ თავიანთი მეომრები საბრძოლველად გაამხნევონ, დახმა-რება გაუწიონ და ბრძოლა განაგრძობინონ. იმ სამხედრო ბანაკში, სადაც მე ვმსახურობ, 2000-მდე ბურია შეკრებილი; თუმცა გაფაციცებით თვალ-ყურს ვადევნებთ, მაინც ნამდვილად და-ვრწმუნდი, რომ ყველა აქ მყოფ ბურს მიწერ-მოწერა ჰქონია გამართული მებრძოლ ბურებთან. ჩვენი ჯარების დამარცხების ამბავს ტყვე ქა-ლები ჩვენ სამხედრო პირებზე უმალ გაიგებენ ხოლმე. მუდამ ჟამს სალოცავად იკრიბებიან და ბურების გამარჯვების ამბავს ყველას ატყობი-ნებენ და ამით იმედ—გაცრუებულ ქალებს გულს უკეთებენ—„Alles sall recht komm“ (საქმე კეთილად წავაო!)—იმედოვნებენ ყოველთვის ბურების ქალები.»

# ახალი ამბავი

✦ დღეს, 5 აგვისტოს, გათავდება ვადა გამოფენაში მონაწილეობის მიღების მსურ-ველთაგან განცხადების შემოტანისა.

✦ მიწად-მოქმედების სამინისტროსაგან გამოფენისათვის დამატებით შემწეობა— 5600 მანეთი კავკასიის სამეურნეო გამო-ფენის კომისარმა გუშინ მიიღო.

✦ კავკასიის გამოფენის გამგე კომიტე-ტმა გუშინ მიიღო ექსპონატები კავკასიის სამოსწავლო მზრუნველისა და ტფილისის რეალურ სასწავლებლისაგან.

✦ კავკასიის გამოფენის მონადირეთა გან-ყოფილების მომწყობელმა კომისიამ წარუ-დგინა გუშინ ხარჯთ-აღრიცხვა გამოფენის გამგე კომიტეტს; ამ ხარჯთ-აღრიცხვით, აღ-ნიშნულ განყოფილების მოწყობა დაჯ-დება 975 მ.

✦ კავკასიის მთავარმმართებლის კანცე-ლარიას უთხოვნია ტფილისის საჯარო ბიბ-ლიოთეკის დირექტორისათვის, დროებით დაეთმოს გამოფენაზე საექსპონატოდ ყვე-ლა ის წიგნები, რომელნიც მთავარ-მმარ-თებლის სტამბაშია დაბეჭდილი.

✦ ამ დღეებში გამოფენაზე მოლაპარა-კება ჰქონდათ გამოფენის კომისარს, საგუ-ბერნიო და ქალაქის ინჟინერებსა და ტფი-ლისის პოლიცმეისტერს იმის შესახებ, თუ რა ზომები უნდა იქმნეს მიღებული იმ შე-მთხვევისათვის, თუ ვინიცობაა გამოფენაზე ცეცხლი გაჩნდა. აღნიშნულ პირთ, დაათვა-ლიერეს რა გამოფენის პავილიონები, გადა-სწყვიტეს, რომ გამოფენის თეატრის სცე-ნაზე და გამოფენის უმთავრეს პავილიონში დადგმულ უნდა იქმნეს დიდი ბოჩკებით წყალი და აგრეთვე იქვე ვედრები, რომ შე-ძლება ექნესთ გამოფენაზე მსახურთ ცეც-ხლი გაჩენისათანავე ჩააქრონ; როგორც თეატრსა და გამოფენის უმთავრეს პავილი-ონთან, აგრეთვე სხვა კერძო პავილიონებ-თანაც უნდა დადგმულ იქნეს ცეცხლის საქრობი ონკანები, დროებით უნდა იქმნეს დადგმული გამოფენაზე შემცევის დროისა-თვის ცეცხლის საქრობი მანქანა და აგრე-თვე უნდა მორიგეობით დაინიშნენ რამდე-ნიმე კაცი ყოველ დღე ტფილისის ცეცხ-ლის მქრობელ რაზმიდან და სხვ.

✦ გუშინ-წინ, ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსს მიუწერია კავკასიის სამეურ-ნეო-სამრეწველო გამოფენის კომისარი-სათვის, რომ რადგანაც რკინის გზას სა-მართველო უარს აცხადებს გამოფენაში მო-ნაწილეობის მიღებაზე, უკანვე დაბრუნე-ბულ იქმნეს ის 200 მან., რომელიც გადა-ხდილ იქმნა ექსპონატების დასაწყობ ად-გილის ფასშიო.

✦ პარასკევს ტფილისის ქალაქის გამგე-ობაში დანიშნული სხდომა კავკასიის გა-მოფენაზე ქალაქის პავილიონის მომწყობელ კომისიისა არ შესდგა, რადგანაც სხდომას წევრები არ დაესწრნენ.

✦ როგორც გვატყობინებენ, ადმინის-ტრაცია შუამდგომლობს, რომ ალ. ლორ-თქიფანიძის საქმე გადაეცეს განსახილვე-ლად კავკასიის სამხედრო ოლქის სასამარ-თლოს.

✦ როგორც შევიტყეთ, ხვალ საზღვარ-გარეთიდან ტფილისში მოელიან ტფილისის გუბერნატორს ბ-ნს სვეჩინს.

✦ „ნოვ. ობოზ.“. ქუთაისიდგან ატყო-ბინებენ, რომ იქ პეტერბურგიდგან მოე-ლიან ფინანსთა სამინისტროს მოხელეს, რომელსაც მინდობილი აქვს ქუთაისის სა-თავად აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის საქმეების რევიზიის მოხდენა.

✦ პარასკევს, 3 აგვისტოს, სამეურნეო საზოგადოების სადგომში სხდომა ჰქონდა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგა-დოების საბჭოს სხვა და სხვა მიმდინარე საქმეების განსახილველად. სხვათა შორის, საბჭომ გადასწყვიტა განცხადებით გამოი-წვიონ საბაღოსნო სკოლის მმართველის ადგილზე მსურველნი; მართველს, როგორც მკითხველს ეცოდინება, წლიური ჯამაგირი ექნება 1500 მან. დააგრეთვე ბინა და განა-თება. ამავე სხდომაზედ საბჭომ გარდასწყვი-ტა გადასდოს 500 მანეთამდე სამეურნეო საზოგადოების სადგომის შესაკეთებლად.

✦ ქუთაისის სავაჟო გიმნაზიის მოსამ-ზადებელ და პირველ კლასში მისაღები ეგ-ზამენები დანიშნულია აგვისტოს 24 და 25-სა, ხოლო ხელ-მეორედ გამოცდა მოსწავ-ლეთა დაიწყება 21 აგვისტოდან.

✦ ტფილისის პირველ სავაჟო გიმნა-ზიის უნცროს მოსამზადებელ განყოფილე-ბებში მისაღები ეგზამენები მოხდება 23-სა და 24-ს აგვისტოს, სხვა უფროს კლასებში თავისუფალი ადგილი აღარ ყოფილა. ხელ-მეორედ გამოცდა მოსწავლეებისა დაიწყება 23 აგვისტოდან.

✦ რუსეთის პოლონეთის ყველა საშუა-ლო და დაბალ სასწავლებლებში შემოღე-ბულია პოლონურ ენის სწავლება 3 საათით კვირაში; ყველა გიმნაზიებში შემოღებულია პოლონურ ლიტერატურის გაკვეთილები და ყველა სასწავლებლებში სამღვთო რჯულს ასწავლიან პოლონურ ენაზე.

✦ სატყეო დეპარტამენტმა ცირკულია-რით წინადადება მისცა კავკასიის სახაზინო მამულების სამმართველოთ, განსაკუთრებუ-ლი ყურადღება მიაქციონ ძვირფასს ტყეე-ბის მოვლასა და ექსპლოატაციას.

✦ გზათა მინისტრის განკარგულებით, ერევნის რკინის გზაზე მიმდინარე წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებიდან დაიწ-ყება მატარებლების წესიერი მიმოსვლა.

✦ გუშინ, 4 აგვისტოს, უსახელო სა-ზოგადოების ცხენის რკინის გზის სამმარ-თველომ წარუდგინა ტფილისის ქალაქის გამგეობას პროექტი ცხენის რკინის გზის ახალის სისტემის ლიანდაგის დაგებისა.

✦ მამა დავითის გორაზე ფუნიკულერის საქმეების მოსაწყობად ბ-ნი როზი ამ დღე-ებში გაემგზავრა ტფილისიდან ბელგიაში.

✦ მამა დავითის გორაზე ფუნიკულერის გაყვანის პირობის უზრუნველ-საყოფელი გირაოს ერთი ნაწილი 400 მან. გუშინ უკვე წარუდგინა ტფილისის ქალაქის გამ-გეობას ბ. როზიმ.

✦ ტფილისის გუბერნატორი შეეკითხა ქალაქის თავს, შესაძლებელია თუ არა ქალაქის საყასბოების გახსნა ისე, რომ ქა-ლაქის მესამე საობლიგაციო სესხიდან არ აიღონ ფული. ქალაქის თავმა უპასუხა, რომ ქალაქს სხვა არავითარი სახსარი არა აქვს ამ საქმის განხორციელებისათვისო.

✦ ტფილისის ქალაქის სასანიტარო-სა-ექიმო ინსპექტორს კავკასიის ექიმების მომავალ კრებისათვის დაუმზადებია მოხსე-ნება ტფილისში პროსტიტუციის თვალ-ყურის გდების პროექტზე.

✦ ტფილისის გუბერნიის მმართველმა წინადადება მისცა ქალაქის თავს, დაუყოვ-ნებლივ სისრულეში მოიყვანოს მისი მო-თხოვნა შესახებ სხვა და სხვა სავალდებუ-ლო დადგენილებათა გამოცემისა.

✦ ტფილისის ლუდის ქარხნების მეპატრონენი ლუდის ხდის დროს ხმარობენ მტკვრის წყალს, რადგან ქალაქის თვითმმართველობას არ გაჰყავს წყალი მათ ქარხნებში; ეხლახან მომხდარ რევიზიის შემდეგ მექარხნეთ აუკრძალეს მტკვრის წყლის ხმარება და აი ამიტომ ისინი ხელა-ხლავ სთხოვენ ქალაქს წყლის მილების გაყვანას მათ ქარხნებამდე.

✦ კავკასიის სამთო სამმართველოს განუზრახავს გამოსცეს კავკასიის გეოლოგიური კარტა.

✦ დაურიგდა ხელის მომწერლებს „მოამბის“ მე-VII-ე ნომერი შემდეგის შინაარსით: 1) „სოფელში“. მოთხრობა ქიზიყელების ცხოვრებიდან,—სიკოსი. 2) „საბრალონი“, რომანი ვიქტორ ჰიუგოსი, პირველი ნაწილი, თარგმანი ფრანგულით,—ივ. მაჭავარიანისა. 3) „პატარა ეიოლფი“, კომედია სამ მოქმედებად ჰენრიხ იბსენისა, თარგმანი —ინ-ანისა (გაგრძელება). 4) „ორი მეგობრობა“, — კიტა აბაშიძისა (დასასრული). 5) „არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“—ე. თაყაიშვილისა (გაგრძელება). 6) „ძველი თაობა“ —არჩილ ჯორჯაძისა. 7) „უცხოეთის მიმოხილვა“ —გერმანია და ახალი სადამოჟნო ტარიფის პროექტი —საფრანგეთის ახლანდელი მთავრობა.

✦ პოლიციის მე-4 ნაწილში მცხოვრებმა მელიქ ბახტამიანცმა განაცხადა, რომ მის სარძევის საწყობში განოვის ქუჩაზე ვიღაც ბოროტ-განმზრახველს მოუპარავს 22 ფუთი კარაქი 300 მ. ღირებული; როდის და ან ვის მოუპარავს, ბახტამიანცმა არ იცის.

✦ პოლიციის მე-6 ნაწილში, 3 აგვისტოს, რაღაც მიზეზისა გამო ერთმანეთში ჩხუბი მოსვლიათ მაქრო ავაქოვსა და რომან ნონიევს; ჩხუბის დროს მუცელში მძიმედ დაუჭრია დანით ნონიევი ავაქოვს; ნონიევი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს, ხოლო დამნაშავე ავაქოვი შეიპყრეს.

## პრესსა

დრონი იცვალნენ და ფერი იცვალა „ნოვოე ვრემია“-მაც, რომელსაც რუსის შესანიშნავმა სატირიკოსმა სალტიკოვმა «რას მიბრძანებთ» უწოდა. ერთ დროს პოლონელების მოძულე და სასიკვდილოდ გადაკიდებული მტერი, ეხლა სიმპატიით და თითქმის სრულის თანაგრძნობით ლაპარაკობს მათზე, (ეს კია, რომ უფრო პოზნანელ—გერმანიაში—პოლონელებზე ლაპარაკობს). მაგრამ ეს ჩვენთვის იმდენათ საინტერესო არ არის, ჩვენთვის საინტერესო და საგულისხმიერო ის ცნობებია, რომელსაც ხსენებული გაზეთის კორესპონდენტი იძლევა პოზნანელ პოლონელების შესახებ. იყო დროო, უთქვამს ამ კორესპონდენტისათვის ერთ პოლონელ ინტელიგენტს,

„როცა პოზნანელ პოლონელების ეროვნული ნიადაგი მეტად შესუსტდა და ერთთავად ბევრი გაგერმანელდა; და შეუმჩნევლად სრულებითაც გაგერმანელდებოდნენ, რომ თვით გერმანელებს არ გამოედვიძებინათ პოლონელები ძალდატანებითი გერმანიზაციით. ზნეობრივ სფერაშიაც ისე, როგორც ფიზიკურში, არსებობს რეაქციის კანონი: ყოველი იერიში, ძალის მიტანა საპასუხო იერიშსა და ძალის ხმარებას იწვევს და აერთებს მათ, ვისზედაც იერიშია მიტანილი. გერმანელებმა სისტემატიური დევნა დაგვიწყეს ცხოვრების ყოველ სფერაში: მოგვინდომეს განდევნა მრეწველობიდან, მოგვინდომეს მამულების წართმევა ბანკების დაარსებით, არ გვიღებენ სამსახურში და თუ მიგვიღეს, გვაშორებენ ჩვენს ქვეყანას და სხვა.

როცა „ნოვოე ვრემია“ს კორესპონდენტი შეეკითხა მოლაპარაკეს, თუ პოლონელები თავის მხრივ როგორ მოქმედებენ ასეთის მტერის წინააღმდეგ, მან შემდეგი პასუხი მიიღო:

„ჩვენი თავად-აზნაურობა მიწა-წყალს ჰკარგავს, ეკონომიურად დაეცა და ჰქრება. მისი იმედი აღარ არის. სამაგიეროდ ჩვენ შეგვრჩა საშუალო კლასი და გლეხობა. აი, ამ ორ ელემენტის დახმარებაზე და გაძლიერებაზე არის მიმართული მთელი ძალ-ღონე პოზნანელ პოლონელებისა. გერმანელებისაგან ვისწავლეთ ჩვენ ერთობით და თანხმობით მოქმედება, ჩვენც დავაარსეთ პოლონური საკრედიტო ამხანაგობები პოლონელ გლეხების, ხელოსნების და მრეწველების დასახმარებლად. მიუხედავათ გერმანიის მთავრობის დევნისა და წინააღმდეგობისა, ჩვენი საკრედიტო ამხანაგობანი, რომელნიც მარჩინკოვსკის ინიციატივით დაარსდნენ და მხოლოდ კერძო პირთა საშუალებით მოქმედებენ, გაძლიერდნენ და 100 მილიონი მარკა (50.000,000 მანეთამდე) აქვთ კაპიტალი. ამხანაგობის წევრობა შეუძლია მხოლოდ პოლონელს. ამხანაგობის საქმე სწარმოებს წევრთა ურთიერთის თავდებობით: წევრი მთელის თავის ქონებით აგებს პასუხს, თუ ამხანაგობას რამე ზარალი მოუვიდა, ამიტომაც ხალხი მეტას ნდობით ეპყრობა საკრედიტო დაწესებულებას. ეს ნდობა სჩანს იქიდან, რომ ბანკებს დიდძალი ფული მიაწყდა და ბანკების ადმინისტრაცია იძულებული შეიქმნა, შემოტანილ ფულის წლიური პროცენტი 4-მდე დაეწია...

სესხი ეძლევა მხოლოდ პოლონელს—მეურნეობის მოსაწყობად, მიწის შესაძენად, დაწყებულ საქმის გასაუმჯობესებლად და სხვა. ყოველმა პოლონელმა, რომელსაც კი სურს სესხის აღება, უნდა იშოვოს ორი თავდები. საკრედიტო დაწესებულება, სესხის გაცემამდე, გამოიძიებს ეკონომიურ მდგომარეობას როგორც თავდებებისას, ისე მსესხებელისასაც, და თუ აღმოჩნდა, რომ შესაძლებელია სესხის მიცემა, იძლევიან 6, 7, 8 და 10 პროცენტადაც იმის მიხედვით, თუ რა ვადით და რა პირობებით გააქვთ სესხი. უფრო ხშირად იხდიან სესხს თან და თან: პირველ წელიწადს მარტო სარგებელს, შემდეგ სარგებელსაც და თავნის ნაწილსაც. თუ ეხლა გამაგრდა პოლონელების მიწად-მოქმედება და მიწა-მფლობელობა, თუ პოლონელ ხელოსანს და მრეწველს მიემატა საკონკურენციო ძალა, ამაში მეტად დიდი წილი ამ საკრედიტო ამხანაგობათ უდევთ, ამათ დაიფარეს პოლონელები უმიწა-წყლოდ დარჩენისაგან, ჩარჩებისა და ექსპლოატატორებისაგან.

გარდა ამ გვარ საკრედიტო დაწესებულებათა, პოლონელებს შეუქმნიათ პოზნანში კიდევ „გლეხების ამხანაგობანი“ მაქსიმილიან იაცკოვსკის ინიციატივით და მეთაურობით. ამათ შემდეგ გავაცნობთ მკითხველს.

* * *

გაზ. „ნოვ. ობოზ“-ს თავის „ობზორ. პეჩატ“-ში მოჰყავს შემდეგი ადგილი „ეჟელეზნო დოროჟნაია ნედელია“-ს ერთის წერილიდან.

„ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველო სხვა და სხვა მოსაზრებით, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს სამსახურთან, მეტად მტრულად უყურებს ადგილობრივ მკვიდრთ (ქართველებს) და არ აქეზებს და არ აწინაურებს მათ სამსახურში. ამ მტრულად ცქერამ ამ ბოლოს დროს ისეთი ხასიათი მიიღო, რომ გვიქადის ყველა ადგილობრივ მცხოვრებთ აღგვას პირისაგან რკინის გზისა.

ეხლა-ხან ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსმა დაურიგა რკინის გზის სამმართველოს ნაწილების უფროსებს ცირკულიარი სახელმძღვანელოდ; ამ ცირკულიარით აკრძალულია „ტუზემცების“ სამსახურში მიღება, თუ ამას უკიდურესი საჭიროება არ მოითხოვს, მაგრამ ყოველს შემთხვევაში მათი რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 20⁰/₀-ს. სამსახურში მყოფ „ტუზემცებს“ კი არავითარი წარმატება სამსახურში არ უნდა მიეცეს და ყოველი ღონისძიება უნდა იქმნეს მიღებული, რომ ისინი გედაიყვანონ გზის დასავლეთ ნაწილიდან აღმოსავლეთისაში.

ბოლოს გაზეთი გადმოგვცემს ხმას, ვითომც ერთი გამორჩენილი პირი წასულიყოს პეტერბურგს და თან წაეღოს ხსენებული ცირკულიარის პირი ერთის ჯურის პოლიტიკანების მოტივებისა და მოსაზრებების გამოსარკვევად.

## პროვინცია

**ბათუმი.** აგვისტოს 2. გუშინ ჩვენს საბჭოს ქონდა საგანგებო, არა ჩვეულებრივი სხდომა და უნდა ამ თავითვე მოგახსენოთ, რომ სხდომა სწორედ არა ჩვეულებრივი იყო: გარდამეტებულის უსაქციელობისა და თავხედობის მოწმენი შევიქენით ამ დღეს ვიდაც ზოგარელსკის მეოხებით.

სხდომა დაინიშნა ქუთაისის გუბერნიის მმართველის წინადადებით. საბჭოს ერთის კვირის განმავლობაში უნდა განეხილა სადავო ელექტრონულ განათების მთავარი «ოლშევიჩ და გერნ»-ის ფირმისა მაზედ, რომ ქალაქი ვითომ არ უსწორდება მას წესისამებრ. სხდომა მოხდა ბატ. ივანოვის თავმჯდომარეობით და ზემოხსენებულის ზოგარელსკის თანადასწრებით. ეს ზოგარელსკი ფირმის რწმუნებული და თანამონაწილეა. ახლა მოგახსენებთ, თუ რას უჩივა ფირმა ქალაქს.

თანახმად ხელშეკრულობისა, ფირმას ოთხის თვის განმავლობაში უნდა წარმოედგინა გეგმა ქალაქის ელექტრონით განათებისა, რაც ფირმამ კიდევაც შეასრულა. ქალაქს სამი თვის განმავლობაში უნდა დაებრუნებინა უკანვე დამტკიცებული გეგმა, რათა ფირმას დაეწყო მუშაობა და წლის თავზე მოეწყო ელექტრონით განათება; თუ ქალაქი ამ ვადაზე ე. ი. სამ თვეზე ვერ ჩააბარებდა დამტკიცებულ გეგმას, მაშინ ფირმას განათების მოწყობის ვადა უგრძელდებოდა ამდენივე ხნით (ხელშეკრულობის მესამე პუნკტი და შენიშვნა). გაზეთშიაც იყო თავის დროზე მოხსენებული, რომ გეგმა განათებისა ვერ იქმნა დამტკიცებული თავის დროზე—დააგვიანდა მთელის ათის თვით. ეს გარემოება, რასაკვირველია, ნებას აძლევდა ფირმას ათის თვით უფრო გვიან გაეთავებინა თავის მუშაობა. რას უჩივის ფირმა ქალაქს? თუმცა სამ თვეზე დამტკიცებული გეგმა არ მიმიღია, მე მუშაობას მაინც შევუდექი და შემდეგ, როცა გეგმის მიღება მეტად გაძნელდა, შევწყვიტე მუშაობაო, მაგრამ უმთავრესი მუშები მაინც შევირჩინე, რადგან შემდეგ ძნელი იქნებოდა მათი მოშებნაო. ამიტომ ამ მუშების ათის თვის ჯამაგირები უნდა მიზღოთო; ამასთანავე ფირმის მონაწილე სხვა ზოგიერთ ამგვარ რამეებს ითვლის და ითხოვს ქალაქისაგან სულ ცოტა რამეს—23 ათას მანეთს. ქალაქი ეუბნება, რომ, ხელშეკრულობის ძალით, არავითარი გარდასახადი არ ედება ქალაქს, რადგან დამტკიცებული გეგმის მიუღებლობა მხოლოდ ვადას გიგრძელებდათ. ძნელია თუ არა მცოდნე კაცების შოვნა, ამაში ქალაქი სრულიად არ შედის—ეს ფირმის საქმეა, შეგეძლოთ მუშაობას შესდგომოდით მაშინ, როცა უკან მიიღებდით გეგმას, მუშაობის დაწყებას არავინ გაძალებდათ მანამდი. მაგრამ ფირმის წარმომადგენელი და თანამონაწილე მაინც თავისაზე იდგა და თავის გრძელ სიტყვაში სრულიად სხვა რამეებს ედებოდა. ტყვილა არ უცხოვრია, ეტყობა, მას სამი თვე ბათუმში და აშკარად ეტყობოდა, რა «სულით» იყო გაჟღენთილი ეს ბატონი. გვაუწყა ყველას, რომ არა ერთ ქალაქთან ჰქონია საქმე, მაგრამ არსად უნახავს, რომ იმგვარი წესი და ურთიერთობა სუფევდეს გამგეობის წევრთა შორის, როგორც აქ, ბათუმში; გვაუწყა, რომ ქალაქის თავს არ ცოდნია თუ სად უნდა გაეგზავნა დასამტკიცებლად გეგმა, გვაუწყა, რომ სამის თვის განმავლობაში დღე მუდამ დადიოდა გამგეობაში, მაგრამ ვერავის ნახულობდა; გვაუწყა, რომ ქუთაისის გუბერნატორს ტელეგრამა გაუგზავნა, რომლითაც იგი თხოვდა ეჩვენებინათ მისთვის ის ადგილი, სადაც შეეძლო მას ენახა ბათუმის ქალაქის გამგეობა, რომელსაც იგი ოთხ თვეს ეძებდა უნაყოფოთ... და, წარმოიდგინეთ, საბჭომ ეს ყოველივე მოთმინებით მოისმინა და ერთხელაც არ შეაჩერა არც თავმჯდომარემ, არც სხვა ვინმე ხმოსანთაგანმა. გასაკვირველია ეს შემთხვევა და გულდასაწყვეტი და ამასთანავე გასაკვირველია ის სითამამე, რომელსაც იჩენენ ამგვარი ბატონები, როგორიც ყოფილა ეს წარმომადგენელი ფირმისა. მაგრამ, აკი მოგახსენეთ, სამ თვეში მათ მოასწრეს «მისიონერებში» ჩარევა და მათის იმედით იყო კიდევაც ისე თამამად. მიუხედავად ამისა და ხმ. პარონბეკოვის და ხუდადიანცის, დიდის ქომაგობისა საბჭომ უარჰყო ფირმის პრეტენზია გარდა იმისა, რაც მას ერგებოდა გეგმაზე მომატებულ ელექტრონულ ფარნებისათვის. იმის გადასაწყვეტად, თუ რამდენი ერგება ამისათვის და იმ ცოტაოდენი ცვლილებისათვის ელექტრონულ სადგურისათვის შენობაში რომ შეუტანიათ—ამის გამოსარკვევად დაინიშნა კომისია, რომელმაც ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს თავისი გადაწყვეტილება საბჭოში.

გ.

## საღამოს დეპეშებ[ი]

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

4 აგვისტო

**პეტერბურგი.** მისი უდიდებულ[ესობის] კანცელარიის უმთავრესი გამგე [...] სხვაგან წავიდა. კანცელარიის ზედა[მხედ]ველობა თავის ამხანაგს იგნატიევს ჩაა[ბარა].

დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრ[ოვნას ავადმყოფობის შესახებ სამეფო კარის სამ]ლის ჯან-მრთელობის ბიულეტენი, [რომელშიაც ნათქვამია]: „დიდ მთავრინას ღამე კარგა[დ გაუტარებია]; თავს კარგადა გრძნობს; მაჯა და ტ[ემპერა]ტურა ნორმალური აქვს. ახლად შო[ბილი] საკმაოდ კარგადაა“.

**ხაბაროვსკი.** 29 ივლისს კადეტ[ის კო]რპუსის და რეალურ სასწავლებლის [შენო]ბების საძირკველი ჩაჰყარეს.

**დურბანი.** გენერალ ბოტას რაზმი [...]ვენის მიდამოებში დგას. მთავარ-[სარდალ] კიტჩენერის უფროსობის ქვეშ მყო[ფი რაზმე]ბი ბოტას დასახვედრად წავიდნენ [...] გამო ჰფიქრობენ, ბოტა თავის რაზმ[ით ზუ]ლულანდში შეიჭრებაო.

**ლონდონი.** კიტჩენერი დეპეშით [იტყო]ყება პრეტორიიდან: „პოლკოვნიკ[...]ჯი 31 ივლისს სტეინბურგის ჩრდილ[ოეთით] კრუიცინგერის რაზმს დაეცა, გ[...] თითქმის ვენტერსდორფამდე სდია, [...] უფროსები კანე და ერაზმუსი დავატ[ყვევეთ], კანე სასიკვდილოდა დაჭრილი. სხ[ვა რაზ]მები ფრენჩის უფროსობის ქვეშ, [...] კვალ და კვალ მისდევენ ჩრდილოეთ[...] ფრენჩის მზვერავ რაზმებს ვითეზდა[ლის...] ბურების რაზმმა, ტერონის უფრო[სობით, გარ]შემო შემოავლო და დაატყვევა. ერთ[ი ...]ლისელი მოკლეს და ორი დასჭრეს, [...] რაზმის უფროსი კაპიტანი ბეტელგ[...] ბურებმა ტყვეები ისევ გაანთავისუფ[ლეს“].

**პალერმო.** კრისპის გვამი დიდ[ის ...] გადმოიტანეს ნეაპოლიდან და დასა[ფლავე]ბამდე კაპუცინების ეკკლესიაში და[ასვენეს].

**კონსტანტინეპოლი.** აქ ირწმუნ[ებიან, რომ] ნავთ-სადგურებისა და წყლის სანაპი[როს ...] ფრანგთა საზოგადოების საქმეზე მოლ[აპარა]კება კარგად მიდისო.

მთავრობას გაუგია კონსტანტინე[პოლში] ცნობილი სომეხი რევოლიუციონერ[ები] მოვიდაო და ამაზე ბევრი სომეხი და[იჭი]რეს. მაგრამ ზოგნი ამბობენ, ეს ტ[ყუილი] ცნობააო.

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცე[მელი] ალ. ჯაბ[...]


## განცხადებანი

ნახშირის საწყობი
**იაგორ მამინაიშვილ[ისა]**
გერის მოედანზე, ყაფანთან[...]
ისყიდება საუკეთესო გაცხავებუ[ლი]
მშრალი **ნახშირი.**
შინ მიტანით 1 ფუთი 40 კა[პ.]

ახალი წიგნი
**სამეგრელოს აღწ[ერა]**
არქანჯელო ლამბერტისა
იტალიურით ნათარგმნი
ალექსანდრე ჭყონიას[ა]
(სამეგრელოს რუკით)
ფასი 1 მანეთი

დაბეჭდილია მცირეოდენი ცალი [და ისყი]დება მხოლოდ: ტფილისში „წერა-[კითხვის გამავრცელებელ] საზოგადოების“ მაღაზიაში და ქარ[თველ ...] ამხანაგობის კიოსკში და ქუთაისში [...]ძის და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

**ეტიუდები** თ. ხუსკივაძისა ისყიდ[ება] ქართველთა ყველა წ[იგნის მა]ღაზიებში. ვისაც სურს, რომ დ[...] ფასად იყიდოს, მან უნდა მოგვმართ[ოს] გამომცემელს ამ ადრესით: Квирил[...] Ардишвили. (10